

„განავითარების ბიზნესი“

# Make Your Mark



make  
your  
mark



ახალგაზრდა ფინანსისტთა და  
ბიზნესმანთა ასოციაცია – აფხაზები

ბილანცი

თბილისი 2015

## სარჩევი

პროექტის შესახებ .....	3
პროექტის პარტნიორები .....	4
სამიზნე პროექტები .....	6
ლონისძიებები .....	12
შეფასებები .....	14
შედეგები .....	27
რეკომენდაციები .....	28
ფოტოგალერეა .....	29

## პროექტის შესახებ

პროექტი - „განავითარების პიზენი“ განხორციელდა „ახალგაზრდა ფინანსისა-ტთა და ბიზნესმენთა სოციაცია - აფხაზა“-ს და კომპანია „ბილაინის“ ერთობლივი დალისხმევით.

პროექტის ძირითადი მიმართულება იყო საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების პრობლემატიკის კვლევა, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება. პროექტის ფარგლებში, „აფხაზა“-ს მიზანი იყო

პროექტის ფარგლებში, „ახალგაზრდა ფინანსისატთა და ბიზნესმენთა სოციაცია - აფხაზა“-ს მიზანი იყო სახელმწიფოს მიერ ინიციირებული შესაბამისი პროექტებისადმი მხარდაჭერა, სახელმწიფო ინიციატივების იმპლემენტაციის გაუმჯობესება და ამ ინიციატივების ბენეფიციარებამდე მიტანაში დახმარება.

პროექტი - „განავითარების პიზენი“ განხორციელდა კომპანია „ვიმპელკომის“ მხარდაჭერით, რომელიც საქართველოში „ბილაინის“ ბრენდით ოპერირებს. მცირე მეწარმეობის მხარდამჭერ პროექტებში „ვიმპელკომი“ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიის, - Make Your Mark, ფარგლებში მონაწლეობს, ამ კამპანიას „ვიმპელკომი“ ყველა იმ ყვეყანაში ახორციელებს, სადაც ის ოპერირებს.

პროექტის სამიზნე აუდიტორია იყო თვითდასაქმებულები. ეს სეგმენტი საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტია, შესაბამისად, თვითდასაქმებულთა პრობლემატიკის კვლევა, მათ გადაჭრაზე ძალისხმევის მიმართვა, ასევე, თვითდასაქმებულთა საქმიანობის პოპულარიზაცია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი გახდა.

პროექტის ძირითადი მიზნები იყო:

- სახელმწიფო პროექტების მხარდაჭერა, ინიციატივების ბენეფიციარებამდე მიტანა, რაც ხელს შეუწყობდა მათ წარმატებულ ინპლემენტაციას
- მცირე მეწარმეების პრობლემატიკის იდენტიფიკაცია და მათ გადაჭრაზე მიმართული ნაბიჯების გადადგმა
- თვითდასაქმებულების საქმიანობის პოპულარიზაციაზე მიმართული კამპანიის - „თვითდასაქმება პრესტიულია!“, - მართვა

# პროექტის პარტნიორები

## სახელმწიფო სტრუქტურები

- პროექტის ფარგლებში დადგემილი მიზნების და ამოცანების მისაზღვად „აფხა“ აქტიურად თანამშრომლობდა შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებთან:
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მენარმეობის განვითარების სააგენტო
  - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
  - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პროექტების მართვის სააგენტო

## პრასამთავრობო მოგანიზაციები

- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
- საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაცია
- პროგრესული ფორუმი
- მოძრაობა „აჩივე ქართული“
- მოძრაობა „European“
- ახალგაზრდა მეწარმეთა ასოციაცია
- თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია
- ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო საბჭო
- თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი

## მედია მოგანიზაციები

- გაზეთი „ბანკები და ფინანსები“
- გაზეთი Caucasus Business Week
- გაზეთი „კომერსანტი“
- გაზეთი „გურიანიუსი“
- რადიო „კომერსანტი“
- საინფორმაციო სააგენტო PIA
- საინფორმაციო სააგენტო Commersant.ge

## „განავითარების პირველი“

- საინფორმაციო სააგენტო „ინფო9“
- საინფორმაციო სააგენტო BPI
- საინფორმაციო სააგენტო „რუბრიკა“
- საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი BFM.ge
- საინფორმაციო სააგენტო BPN
- საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორი“
- საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“
- საინფორმაციო სააგენტო „ფრონტნიუსი“
- საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“
- საინფორმაციო სააგენტო IPRESS
- რადიო თავისუფლება




# სამიზნე პროექტები

## აწარმოვ საძართველოში

### პროგრამის მიმართულებები

- ფინანსური ხელშეწყობა
- სესხზე პროცენტის თანადაფინანსება
- გირაოში თანადგომა
- ლიზინგის საგანზე ინტერესის თანადაფინანსება
- ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა უსასყიდლოდ
- საკონსულტაციო მომსახურება
- ტრენინგები, სამენარმეო უნარები, წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტი და სხვა შესაბამისი სტანდარტების დანერგვა
- ინვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება/დანერგვის ხელშეწყობა



### “აწარმოვ საძართველოში”

- სოფლის მეურნეობის მიმართულება

პროგრამას ახორციელებენ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

### მიზნები:

- წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა
  - ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

## **„განავითარების პიზენები“**

- დაფინანსებული სესხით / ლიზინგით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო ან გაფართოვდეს/გადაიარაღდეს არსებული საწარმო

- საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უცნებლობის მოთხოვნებს

- ახლად შექმნილი ან გაფართოებული/გადაიარაღებული საწარმოს შენობა-ნაგებობებსა და მიმდებარე ტერიტორიას უნდა გააჩნდეს ესთეტიკური გარეგანი სახე.

სესხის / ლიზინგის გაცემა შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით:

1. პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება:
2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება:

3. ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება:

### **კრედიტის / ლიზინგის პირობები**

პროგრამის ფარგლებში ერთი სესხის / ლიზინგის მოცულობა არ უნდა იყოს 600 000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტ ლარს. 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარზე ან მის ექვივალენტ ლარზე მეტი თანხის მოთხოვნის შემთხვევაში, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

გაცემული სესხების / ლიზინგების საშეღავათო პერიოდი ძირითად თანხაზე:

- ძირითადი საშუალებებისთვის - არანაკლებ 24 თვისა
- საბრუნავი საშუალებებისთვის - არანაკლებ 18 თვისა

პროგრამით გათვალისწინებულია სესხის შემდეგი საპროცენტო განაკვეთები პირველი 24 თვის განმავლობაში:

• 600 000 აშშ დოლარიდან 1 000 000 აშშ დოლარის ჩათვლით (ან ექვივალენტი ლარი) - არაუმეტეს 12%

• 1 000 000 აშშ დოლარიდან 2 000 000 აშშ დოლარის ჩათვლით (ან ექვივალენტი ლარი) - არაუმეტეს 11%

სააგენტო განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას წლიური 10%-ის ოდენობით, სესხის / ლიზინგის გაცემიდან მხოლოდ 24 თვის განმავლობაში.

პროგრამით გათვალისწინებული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი - არაუმეტეს 13%.

სააგენტო მოახდენს გაცემული ლიზინგის არაუმეტეს 24 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 12 %-ის ოდენობით.



## აცარმოების საძართველოში - დაცერჩე მომავალი

პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

პროექტი მიზნად ისახავს

საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალნაირი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექპორტო პოტენციალი, გადამზუშავებული საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა;

ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბალების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბალების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

## ანარმოე საძაროელოში - აბროდაზღვევა

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამაში, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ცვლილებები შევიდა. ეს არის საპილოტე პროგრამა, რომელიც მოიაზრებს მთავრობის მიერ სუბსიდირებას გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს 10 მილიონი ლარით განისაზღვრა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, პროგრამას წელსაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობის სურვილი საქართველოში ლიცენზირებულმა სადაზღვევო კომპანიებმა ისევ გამოთქვეს. 2014 პროგრამაში მონაწილეობდა ოთხი სადაზღვევო კომპანია - ჯიპიაი ჰოლდინგი, ალდაგი, აი სი ჯგუფიდა ირაო. წელს კი დაემატა ორიკომპანია: „არდი“ და „უნისონი“.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 15 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი. პროგრამით გათვალისწინებული მინის ფართობის ოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება რეგისტრირებულ კომპერატივზე. აღნიშნული შეზღუდვით მოხდა სეგმენტის განსაზღვრა, პროგრამა ორიენტირებულია მცირე შემოსავლიანი ბენეფიციარების მოსავლის დასაზღვევად.

კომპანიები პოლისების გაცემას შეძლებენ მხოლოდ აგროვადების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსუბსიდირებას განახორციელებს პოლისების შემოწმების შემდეგ.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 28,690 პოლისი, დაზღვეულია 193,343,048 ლარის ლირებულების 38 სხვადასხვა კულტურა 23,667 ჰა. მინის ფართობზე.

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა 2015 წლის 11 დეკემბერს დასრულდა და და განახლდება 2016 წლიდან.





## აწარმოე საქართველოში - შეღავათიანი აგრო კოეფიციენტი

პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.

„შეღავათიანი აგროკურედიტის პროექტის“ ფარგლებში აგრო კურედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო არ მონაწილეობს საკურედიტო განაცხადის დამუშავების და კურედიტის გაცემის პროცესში.

„შეღავათიანი აგროკურედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს:


1. შეღავათიანი აგროკურედიტის პროექტი
2. შეღავათიანი აგროლიტინგი
3. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

## ანარმოე საქართველოში - მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობა

2015 წლის 15 მარტიდან საქართველოს რეგიონებში „ანარმოე საქართველო-ში“ პროგრამის ფარგლებში დაწყებულია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში და დადებით გავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას მეწარმეების დაფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5,000 ლარამდე 1 მეწარმე, 10,000 ლარამდე 2 მეწარმე, 15,000 ლარამდე 3 მეწარმე).

აღნიშნული პროექტის სრული ბიუჯეტია 20 მილიონი ლარი, ხოლო პროექტის სანგრძლივობა 26 თვეა.




## ლონისძიებები

### პროექტის ფინანსები ჩატარდა შემდეგი პრიორიტეტები

- გაიმართა 6 სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან
- მოეწყო 9 ღია შეხვედრა-დისკუსია დარგის ექსპერტებსა და ანალიტიკოსებთან
- ჩატარდა 21 შეხვედრა-პრეზენტაცია რეგიონებში, პროექტის პოტენციურ ბენეფიციარებთან
- გაიმართა 18 პრიფინგი - პრესკონფერენცია

### გაშექაბა მედიაში

- ტელევიზია - 39
- რადიო - 31
- ბეჭდური მედია - 74
- ელექტრონული მედია - 297



## „განავითარების პიზენები“



## შეფასებები

პროექტის ფარგლებში ინიცირებული შეხვედრების დროს საკითხის შესახებ პოზიცია გამოთქვეს:



### ზურაბ კუპულაძე პროექტ „განავითარების პიზენის“ დირექტორი

„ვფიქრობ, სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა სახელმწიფო პროექტების ბენეფიციარებამდე სწორად მიტანაში, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. შესაბამისად, მე მადლობას ვუხდი კომპანია ბილაინს პროექტ „განავითარების პიზენის“ ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის. ეს არის არა მარტო მცირე მენარმებისა და თვითდასაქმებულებისთვის გამოცხადებული ღია მხარდაჭერა, არამედ, ერთის მხრივ, სამოქალაქო სექტორის მრავალმხრივად სასარგებლო საქმიანობის წახალისება, ხოლო მეორეს მხრივ, ამ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა სამაგალითოა კერძო სექტორისთვის, როგორც გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული კამპანიის ორგანიზაციონის.

მე ვთვლი, რომ აღნიშნული პროექტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა, ვინაიდან, ჩვენ დავეხმარეთ კონკრეტულ ადამიანებს, კონკრეტული საქმეების წამოწებაში, ამასთან შედგა ნაყოფიერი თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება და ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინება. პროექტი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ მისი შედეგები, იძლევა საშუალებას, რომ აფხაზ მცირე მენარმეობის მხარდამჭერი საქმიანობა მომავალშიც წარმატებით გააგრძელოს“



### გიორგი ტყეშელაშვილი კომპანია „ბილაინის“ დირექტორი

„პროექტში მონაწილეობა კომპანია „ბილაინის“ ახალი სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიის MAKE YOUR MARK ფარგლებში გადავწყვიტეთ. კამპანია გულისხმობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იმ ქვეყნებში, სადაც „ვიმპელკომი“ ოპე-

## **„განავითარების პიზენესი“**

რიჩებს, თვითდასაქმებულთა საქმიანობის პოპულარიზაციას და წახალისებას. სიამაყით ვაცხადებ, რომ აღნიშნული პროექტი არის ზოგადად „ბილაინის“ სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის გაგრძელება. რამდენიმე თვის წინ, საქართველოში ახალი, ტექნოლოგიური რევოლუცია დაიწყო. კომპანია ბილაინმა მომხმარებელს შესთავაზა მეოთხე თაობის ინტერნეტ ტექნოლოგია, ყველაზე ფართო დაფარვის ზონით. ეს ყველაზე მასშტაბური სოციალური ინვესტიციაა, რაც საქართველოში განხორციელებულა და რომლის ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ ლარს შეადგენს, ვთვლით რომ ამ ისტორიულ მომენტს განსაკუთრებით ეხმანება ჩვენი ახალი სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებას, ბიზნესის განვითარებას, ვთვლით რომ ახალი ტექნოლოგიები არეს ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეხმარება ბიზნეს, უკეთ შესძლოს თანამედროვე გარემოში ოპერირებას“



### **შოთა გულბანი**

**ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა  
ასოციაცია - აფბა“-ს პრეზიდენტი**

„მე, პირადად ვიყავი ჩართული პროექტი - „განავითარების ბიზნესში“. განსაკუთრებით საინტერესო იყო, ჩვენი პროექტის კონკრეტულ ბენეფიციარებთან პირდაპირი ინტერაქცია. პირადად მე, დაახლოებით, 20-ზე მეტ ასეთ შეხვედრაში მივიღე მონანილეობა და დაახლოებით 200-ზე მეტ ადამიანს გავუწიე კონკრეტული კონსულტაცია, სულ პრეზენტაციები მოვაწყვე 500 ადამიანისთვის და ვფიქრობ, ეს მათთვის იყო ეფექტური თანამშრომლობა. ამ ადამიანების ერთმანისათვის წარმატებით მოახერხა სახელმწიფო პროექტებში ჩართვა და ისინი დღესაც წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას. მეორე ნაწილში კი ჩვენთან თანამშრომლობით აიმაღლა კვალიფიკაცია, რაც მათ დაეხმარებათ სამომავლო პროექტებში ჩართვაში.“

მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ბილაინს“ პროექტის მხარდაჭერისთვის, ვფიქრობ, რომ ეს პროექტი არა მარტო ჩვენი ბენეფიციარებისთვის იყო სასიკეთო, არამედ თავად ჩვენი ორგანიზაციისთვი, ჩვენ მივიღეთ სასარგებლო გამოცდილება, რაც დაგვეხმარება, რომ მცირე მენარმეთა და თვითდასაქმებულთა პრობლემების გადაჭრაზე მომავალშიც აქტიურად ვიმუშაოთ.



### ნოდარ ჭიშინაძე

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა  
ასოციაცია - აფხა-ს ყოფილი პრეზიდენტი

„აფხა“ მიესალმება „ბილაინის“ სოციალური პასუხისმგებლობის ახალ მიმართულებაში ჩართვას. პროექტი, მასშტაბიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეეხო, მოხდა მცირე მეწარმეთა პრობლემების იდენტიფიცირება და გადაიდგა მათ მოგვარებაზე კონკრეტული ნაბიჯები. ბუნებრივია, ამ პროცესში ჩვენ მჭიდროდ ვითანამშრომლეთ სახელმწიფო ინსტიტუციებთან. ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან ძალიან ბევრი საინტერესო ინიციატივა გამოჩნდა, რომელთა სამიზნე აუდიტორიის მიერ სწორი ადაპტირების შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან სასარგებლო შედეგები შეიძლება მივიღოთ. ამ პროექტის მთავარი მიზანი იყო, დაეხმარებოდა მცირე მეწარმეებს, რომ სწორედ მათ სასარგებლოდ მომხდარიყო იმ ინიციატივების ნარმატებით იმპლემენტირება, რომელიც არა მარტო სახელმწიფო ინსტიტუციებს, არამედ შედარებით მსხვილ ბიზნესს გააჩნია. ვფიქრობ, ამ მისიას ჩვენ ნარმატებით გავართვით თავი“.



### ქათევან ბოჭორიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე

„პირველ რიგში მინდა ალვნიშნო, რომ პრობლემატიკა ძალიან სწორად არის დანახული. თუ ჩვენ რაოდენობრივად გადავხედავთ ჩვენი ბიზნესების რაოდენობას, დაახლოებით 99% მოდის სწორად მცირე და საშუალო ბიზნესზე. თუმცა, თუ მათ წვლილს ეკონომიკაში ვნახავთ, არის ძალიან დაბალი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი და იგივე თვით დასაქმებულების პროდუქტიულობა და მათი წვლილი ეკონომიკაში გაიზარდოს, რადგან ეს სეგმენტი მართლაც ნარმოადგენს ჩვენი ეკონომიკის ხერხემალს. მინდა ალვნიშნო, რომ სწორედ ამ პრობლემატიკიდან გამომდინარე ეკონომიკის სამინის-

## **„განავითარების პიზენი“**

ტრომ შექმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის მთავარი მიზანია მეწარმეობის განვითარება და კონკრეტული პროექტით თუ ინსტრუმენტით თუ სხვადასხვა ცვლილებებით, იქნება ეს საკანონმდებლო ან რეგულაციების დონეზე მოახდენს მეწარმეობის წახალისებას.

ბუნებრივია, მივესალმები კომპანია „პილაინს“ და „ახალგაზრდა ფინანსისა-ტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ამ პროექტს და ჩვენი მხრიდან დიდი სია-მოვნებით ჩავერთეთ ამ პროექტში. მე გავეცანი პროექტის მიზნებს და პრიო-რიტეტებს და ვფიქრობ, რომ მსგავსი პროექტები მნიშვნელოვნად წაადგება სა-ხელმწიფოს, რომ ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები სწორად მიიტა-ნოს ბენეფიციარებამდე“



### **ლაშა ხუციშვილი**

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე**

„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია, რომელიც „აფ-ბა“-მ და „ბილაინმა“ ერთად განახორციელებს. მინდა გითხრათ, რომ ფინანსთა სამინისტრო მხარს უჭერს აღნიშნულ პროექტს და მზადყოფნას გამოვთქვამთ, მივიღოთ აქტიური მონაცილეობა იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრა-ში. დღეს არსებული სადაგასახადო რეესიმი მცირე მეწარმეებს მნიშვნელოვნად უმარტივებს აღრიცხვის ნაწილს. ფაქტობრივად, გვაქვს პრუნვაზე მიბმული გა-დასახადი, 3-5%-იანი. ზოგადად, მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია მოხდა მცირე მეწარმეებთან მიმართებაში, არსებული სანქციები მნიშვნელოვნად შემცირდა, მოხდა საგადასახადო დავალიანებების ჩამონება, რაც ჯამში მილიარდ 200 მი-ლიონს აღემატება, საიდანაც გარკვეული ნაწილი მცირე მეწარმეებს შეეხებოდა. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში და ეს პროექტიც სერიოზულ შედეგებამდე მიგვიყვანს“



### **გიორგი ციკოლია**

**მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი**

„პროექტის ფარგლებში დასმული საკითხი იყო ძალიან სწორად, ვინაიდან ჩვენი სააგენტოს პროექტები ეხება საზოგადოების ფართო მასებს, ბენეფიცი-არებთან კომუნიკაცია არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. ამ კონტექს-

ტში, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და პიზნესმენთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობაში მინიშვნელოვნად გააადვილა პრობლემა და ჩვენ მივიღეთ გაცილებით მაღალი უნარჩვევების ბენეფიციარები. ჩვენ მივესალმებით სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს და მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე გავიაროთ საქმიანი კონსულტაციები მათთან.

პროექტის ფარგლებში განსაკუთრებით სასარგებლო იყო „მცირე მეწარმეობის პროგრამაში“ ჩართვა. საბოლოო ჯამში ამ პროგრამაში დახლოებით 20 000 ადამიანი ჩაერთვება და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი უმრავლესობა შეძლებს საკუთარი საქმიანობის სწორად წარმართვას, შესაბამისად ეს შეცვლის ზოგადად ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონს“



## ირაკლი მოისწრაფიშვილი პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი

„2015 წლის მონაცემებით, ჩვენი პროექტებით 800 მილიონ ლარზე მეტი გავიდა სოფლის მეურნეობაში, მინდა უურადღება გავამახვილო შემდეგ კომპონენტებზე: სოფლის მეურნეობის სამინისტროს, - „უპროცენტო სასაქონლო განვადება მცირე ფერმერებისთვის“, „შელავათიანი აგროკურედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის“, „შელავათიანი აგროლიზინგი“, „შელავათიანი აგროკურედიტი გრანტით დაუინანსებული საწარმოებისთვის“, „სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, „აგრო დაზღვევა“ და „დანერგვებისთვის შემდეგ საბანკო სექტორმა ამ მიმართულებით 800 მილიონ ლარზე მეტი სესხი გასცა. ასეთი მიზანი არ იყო მართვის სამინისტროს მიზანი, საქართველოში ეკონომიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი სეგმენტის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და წახალისება. პროექტის სამიზნე აუდიტორია არის თვითდასაქმებულები, სეგმენტი, რომელიც ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტია. შესაბამისად, თვითდასაქმებულთა პრობლემატიკის კვლევა, მათ გადაჭრაზე ძალისხმევის მიმართვა, ასევე თვითდასაქმებულთა საქმიანობის პოპულარიზაცია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. აღნიშნული პროექტების შესახებ ინფორმაციის სამიზნე აუდიტორია მდე დროული მიწოდება უზრუნველყოფს მათ უფრო შედეგიან უტილიზაციას. ამ მხრივ, სოფლად მოღვაწე ფერმერებში, ასევე იმ ადამიანებში, ვინც პოტენციურად არის

## **„განავითარების პიზენესი“**

აღნიშნული პროექტების მოსარგებლე, ინფორმაციის დეფიციტი ნამდვილად იგრძნობა. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ საჭიროა მეტი აქტიურობა, როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო სექტორის მხრიდან“



### **ირინა მეზურიშვილი მენარმეობის სააგენტოს ბიზნესის განვითარების მრჩეველი**

„საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოება საქართველოში“, რომლის მიზანია ქვეყანაში მენარმეობის განვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასში ჩართულია სამინისტროს სისტემაში შემავალი შემდეგი სიიპ-ები: „მენარმეობის განვითარების სააგენტო“, „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“. პროექტი უზრუნველყოფს შემდეგი სახის მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა და ტექნიკური დახმარება. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვაფინანსებთ შერჩეული პროექტების განხორციელებისთვის მიღებული საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთებს, მეორე შემთხვევაში ჩვენ მენარმეებს ვახალისებთ ბიზნესისთვის აუცილებელი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემით, ხოლო მესამე შემთხვევაში ვუზრუნველობთ მენარმეთა გადამზადებით.

ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა არის უაღრესად მნიშვნელოვანი, და სწორედ ამ კონტექსტში იყო სასარგებლო „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობა“



### **ნინო სხირტლაძე მენარმეობის განვითარების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი**

„მოგეხსენებათ სახელმწიფომ გამოყო 20 მილიონი ლარი, რომელიც მიმართულია რეგიონებში სერვისზე ორიენტირებული ბიზნესების წახალისებისთვის. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ბიზნესიდეების დაფინანსება 5000

ლარით, რისთვისაც აუცილებელი პირობაა 1000 ლარიანი თანამონაწილეობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ნაღდი ფულით თანამონაწილეობა. გარდა ფინანსური დახმარებისა, პროექტი ითვალისწინებს მეწარმეთა გადამზადებას. მნიშვნელოვანია, რომ პიზნესგეგმის მომზადებასა და მარკეტინგის საკითხებში გადამზადებას ისეთი მეწარმეებიც გაივლიან, რომლებმაც შეიძლება გრანტი ვერ მიიღონ, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მათ შანსებს სხვა ანალოგიურ პროექტებში, რომლებსაც სახელმწიფო მომავალში გამოაცხადებს. პროექტი უკვე დაწყებულია მთელი საქართველოს მასშტაბით. მიმდინარეობს გრანტების გაცემა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ამ ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტური მონიტორინგი, ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ სამოქალაქო სექტორთა და შესაბამისად ამ პროცესიც გავაგრძელებთ თანამშრომლობას“.



**მიხეილ კუჭავა,**  
**პროექტების მართვის სააგენტოს**  
**პროგრამის მენეჯერი**

„სამი წლის მანძილზე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისა და მეწარმეთა სტიმულირების მიზნით სააგენტომ ათამდე პროექტი განახორციელდა.“

მთავრობის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ “მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის” სამწლიანი პროგრამა დაიწყო. პროექტის დახმარებით, ფერმერებს საშუალება მიეცა 20 წლის დაუმუშავებელი მიწები სახელმწიფოს დახმარებით უფასოდ მოეხნა, უსასყიდლოდ მიეღო სასოფლო-სამეურნო ინვენტარი, ნერგები და სხვა პროდუქტები. მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო 2013 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში 710 ათასი ბენეფიციარის-თვის გამოყოფილ იქნა 190 მლნ ლარის სარგებელი. პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 208 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნო მიწის ფართობი. 2014 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში 757 ათასი ბენეფიციარისთვის გამოყოფილ იქნა 70 მილიონ ლარამდე სარგებელი. 2014 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 220 466 ჰა სასოფლო-სამეურნო მიწის ფართობი.

2015 წელს გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა და შეადგინა 767 ათასი ბენეფიციარი. 2015 წლის პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 50 მლნ ლარს. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში ჯამში მოხარული მიწის ფართობი შეადგენს 198 118 ჰექტარს.

ამ პროგრამის პარალელურად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ შეღავათიანი

## „განავითარების პიზენები“

აგროკურედიტის პროექტი დაიწყო. პროგრამის დახმარებით, ფერმერებს საშუალება მიეცათ არსებული წარმოება გაეფართოვებინათ ან შეექმნათ ახალი სანარმოები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა მცირე და მსხვილი წარმოება, მუშავდება ადგილობრივი პროდუქტი და რაც მთავარია, დასაქმდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობა.

შეღავათიანი აგროკურედიტის პროექტი დაიწყო 2013 წლის მარტში და დღევანდელი მფგომარეობით გაცემულია 23 000 მეტი კრედიტი. გაცემული შეღავათიანი აგრო კრედიტის თანხა შეადგენს 830 მლნ ლარზე მეტს.

სააგენტომ ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მენარმერების სტიმულირება მოახდინა იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით. საშუალება მიეცათ გაეუმჯობისებინათ სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესები.

პროექტების ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აშენდა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და დაიწყო ადგილობრივი პროდუქციის გადამუშავება.

პროექტებში ჩართული მენარმერები უკვე ახდენენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას. შეიდა ბაზრის გარდა, ნაწარმი გადის ექსპორტზეც, როგორც მეზობელ ქვეყნებში, ასევე ევროპაში.

ამ შედეგებს შედეგებს მივაღწიეთ ჩვენს ბენეფიციარებთან სწორი კომუნიკაციით, რაშიც განსაკუთრებული როლი ჰქონდა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობას“



**თეონა ბაბუნიშვილი  
მენარმეობის განვითარების სააგენტოს  
სპეციალისტი**

„ჩვენ პარალელურ რეჟიმში რამოდენიმე პროექტს ვახორციელებთ, მაგრამ უშუალოდ ის პროექტი, რომელიც მორგებული არის მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობაზე, ამ პროგრამაში ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული სწავლების მექანიზმები, თუ რას ვასწავლით, ვის ვასწავლით და ეს ცოდნა რაში შეიძლება გამოადგეთ.

ის პირები, რომლებიც გაიმარჯვებენ ბიზნეს იდეების კონკურსში ჩვენთან და გადავლენ მეორე ეტაპზე, რომელიც გულისხმობს უკვე ბიზნეს პროექტების წარდგენის კონკურსს, სადაც თანხობრივი თანადაფინანსება არის ერთ მენარმეზე მაქსიმალური 5000 ლარის ოდენობა და სამი მენარმის გაერთიანების შემთხვევაში 15 000 ლარი. ამ პროგრამის ფარგლებში, ის პირები, რომლებიც გა-

დალახავენ პროგრამის პირველ ეტაპს, რაც გულისხმობს ბიზნეს იდეის მოწოდებას, მანამდე გაივლიან შესაბამის სწავლებას ბიზნეს გეგმის წერის კუთხით, ასევე მოგება-ზარალის შედგენა, ბუღალტრული საკითხები, შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობა, ანუ ყველაფერი ის, რაც დამწყებ მენარმეს სჭირდება, რომ იცოდეს და რაშიც დამატებითი თანხების გადახდა არ შეუძლიათ, ჩვენი პროგრამის ფარგლებში ამას ყველაფერს მიიღებენ უფასოდ. მთლიანად ამ პროგრამისთვის გამოყოფილია 20 მილიონი ლარი და მისი მიმდინარების პროცესში, რაც სულ 26 თვის განმავლობაში გაგრძელდება, მენარმე სუბიექტებს ექნებათ შესაძლებლობა მუდმივ რეჟიმში მიიღონ დახმარება როგორც კონტრაქტორი ორგანიზაციებისგან, ისე მენარმეობის განვითარების სააგენტოსგან ინფორმაციის მიღებისა და მიმართულებების მიცემის კუთხით.

პროექტ „განავითარების ბიზნესის“ ფარგლებში ჩვენი ინიციატივები აქტიურად მიდიოდა ჩვენს პოტენციურ ბენეფიციარებთან. მინდა აღვნიშნო იმერეთის მაგალითი, სადაც ამ პროექტის ფარგლებში რამდენიმე პრეზენტაცია მოეწყო, შესაბამისად, იქ ჩვენ დაგვხვდა გაცილებით მაღალკვალიფიციური და უნარიანი ბენეფიციარები. მინდა ვთქვა, რომ ყველაზე კარგი შედეგები სწორედ იმერეთში დადგა“



### მიხეილ ჭელიძე მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის დირექტორი

„გარდა არსებული პრობლემებისა, თვითონ მენარმეებშიც არის გარკვეული პრობლემები. ზოგადად, ორი პრობლემა არის გამოკვეთილი, რასაც თავად მენარმე სუბიექტები ასახელებენ, - გადასახადები და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, ყველა ქვეყანში არის გადასახადები და ამასთან ძნელი ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ჩვენ ვსაუბრობთ სტარტაპზე, აქ ერთია ბიზნესის დაწყება და მეორე შენარჩუნება, დაუმვათ დაწყება ძნელია, მაგრამ ვიღაცეებმა ხომ ბიზნეს გეგმის დაწერაც მოახერხეს, უზრუნველყოფაც მოახერხეს, ანუ არიან ადამიანები, ვინც ეს მოახერხა. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, ვინც ეს ვერ შეინარჩუნა. იქიდან გამომდინარე, ვერ შეინარჩუნეს, რომ საბაზისო ცოდნაც არ გააჩნიათ ელემენტარული, ზოგი შემოსავალს და მოგებას ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ უმეტეს შემთხვევაში, როდესაც საწარმო დაიხურა იყო მენარმის ბრალი, იმიტომ, რომ ძალიან უხეშად ექცევიან ბიზნესს, ბევრი სესხს იმიტომ კი ვერ იხდის რომ არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ ვერ დაგეგმა სწორად. სესხს რომ იხდი, თუნ-

## „განავითარების პიზენი“

დაც უცხოურ ვალუტაში, იმას რა რისკებიც მოყვება უნდა გაგაცნოს ვინმემ. სახელმწიფოს გარეშე, ამ პრობლემებიდან ნამდგილად ვერ გამოვალთ, უნდა იყოს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ზოგადად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ პროექტ „განავითარებიზნესის“ მთავარი რეკომენდაცია უნდა იყოს, მეწარმეთა კომპეტენციისა და უნარ-ჩევევების ამაღლების ხელშემწყობი პროგრამების ინიცირება“



ვახტანგ ლომიჭარია,  
საქართველოს პროგრესული ფორუმი

“მინდა დავინც საუბარი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის სამოქმედო სტრატეგიაში, - 20/20, სრულიად სამართლიანად არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემსრულებლივ ფაქტორად დასახელებული. კერძოდ მინდა გამოვყო პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ეს არის კაპიტალის ბაზრის განვითარების დონე, პრობლემები, რომლებიც ამ ბაზარს ჰქონდა, კიდევ უფრო გაღრმავდა 2006-07 წლის შემდეგ, მაშინ როდესაც მოხდა ძალიან ცუდი საკანონმდებლო ცვლილებები ანტიმონოპოლიური მიმართულებით შესუსტების კუთხით, რაც გულისხმობს იმას, რომ კომერციულ ბანკებს არ შეეძლოთ ჰქონდათ ჯამში 50%-ზე მეტი საფონდო ბირჟისა და ასევე არ შეეძლო ჰქონდა ერთ ბანკს 5%-ზე მეტი. ეს საკანონმდებლო ბარიერები, რომლებიც ახასიათებდა დასავლურ სისტემებს მოიხსნა ბატონების ლადონ გურგენიძისა და კახა ბენდუქიძის საქმიანობის შემდეგ, რამაც ისედაც პრობლემების წინაშე მყოფი ეს ბაზარი კიდევ უფრო გააუარესა, ამან გამოიწვია ის, რომ 50%-ზე მეტს უკვე ფლობენ ბანკები, აქედან დიდ უმრავლესობას “საქართველოს ბანკი”. ფაქტობრივად, კაპიტალის ბაზარი ჰქონს პერსპექტივაშიც აღარ მოიაზრება საბანკო სფეროს კონკურენტად და როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე, სამწუხაროდ პირველ რიგში გვაფიქრდება ის, რომ საბანკო კრედიტი არის ძალიან ძვირი, როცა ბევრად მარტივი შეიძლება ყოფილიყო კაპიტალის ბაზარზე თანხების მოძიება, როგორც ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, აქციებით, ობლიგაციებით თუ სხვა ინსტრუმენტებით.

ამ ფონზე, ვთვლი, რომ მცირე მეწარმეობის განვითარების ყველაზე მთავარი პრობლემაა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ამიტომ ჩემი რეკომენდაციაა, რომ პროექტის ფარგლებში წამოვწიოთ



**ლია ელიაზა,  
საბანკო ექსპერტი**

“რა თქმა უნდა, ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ინიციატივები, რაც მენარმეობის განვითარებას უკავშირდება, კარგია. მაგრამ იმისთვის, რომ მეწარმეებს უფრო მეტი ხელშეწყობა და მეტი წვდომა ჰქონდეთ ფულისადმი, საკითხის მოგვარება კომერციული ბანკებისთვის უფლებამოსილების დელეგირებით, მე მიმართინა არასწორად. თავის დროზე, როდესაც საუბარი იყო სახელმწიფო განვითარების ბანკის შექმნაზე, მაშინ მე ხშირად დამიფიქსირებია ჩემი პოზიცია, რომ სახელმწიფო განვითარების ბანკი იქნება მოწოდებული სწორედ იმისთვის, რომ განახორციელოს სახელმწიფოს მიერ დაწყებული პროგრამები, მათ შორის ადგილობრივი მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამები.

მოგეხსენებათ, რომ კომერციულ ბანკებს თავისი მიდგომა და ფილოსოფია გააჩნიათ სესხების გაცემისას და მათ მიერ გამოხშირული მენარმეების რაოდენობა არის საკმაოდ დიდი, გარდა ამისა რთული შესაფასებელია, რამდენად ობიექტურად იქნა გაცემული ესა თუ ის სესხი სახელმწიფოს დაფინანსებით და რამდენად ობიექტურად ითქვა უარი ასეთი სესხის დაფინანსებაზე.

როდესაც ფული იდება რეალურ სექტორში, მას სჭირდება ორი სამი წელი იმისთვის, რომ მენარმეებ მიიღოს, რაღაც შემოსავალი და გაისტუმროს ვალი, მოკლევადიანი სესხების გაცემა მენარმეებზე არის პრინციპულად არასწორი საქმიანობა. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს რაიმე განსაკუთრებული კონტროლი არა აქვს დაწესებული ბანკებზე, თუ რამდენად ხანგრძლივ სესხს აძლევენ კომერციული ბანკები მენარმეს.

აგრეთვე საქართველოში ფინანსური რესურსი არის ძალიან ძვირი, მენარმეებს არ შეუძლიათ ასეთი ძვირიანი სესხის დაბრუნება ისე, რომ თვითონ არ იზარალონ, ამ საკითხის მოგვარება კომერციული ბანკების დონეზე არის შეუძლებელი, ამასაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. ანუ, მენარმეების დაფინანსება რომ მთლიანად სახელმწიფოს ხელში ყოფილიყო, ასეთი პრობლემები არ იქნებოდა დღის წესრიგში დაყენებული, არც ფულის სიძვირის, არც სესხის ხანგრძლივობის.

შესაბამისად, ჩემი რეკომენდაცია, არის შემდეგი, - მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს კომერციული ბანკების მონაწილეობა სახელმწიფო პროექტებში და უნდა შეიქმნას სახელმწიფო ინსტიტუცია, რომ ამ პროექტების პოტენციურმა ბენეფიციარებმა პირდაპირ, ბანკის ჩართულობის გარეშე მიიღონ ფული”.



## გორგა გურავა, მცირე ბიზნესის ექსპერტი

“პროექტები, როდესაც ისინი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არის განხორციელებული, უნდა იყოს დიდი რეფორმის შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, შევადაროთ სიტუაცია სოფლის მეურნეობის რეფორმებთან დაკავშირებით იმას, რაც მოხდა ჯანდაცვასა და განათლების სფეროში, ანუ თუ ისეთი სისტემური რეფორმები არ იქნება, როგორიც მოხდა აღნიშნულ სფეროში, ასე ცალკეული პროექტების მიმართ მივიღებთ ისევ მკვდრადშობილ პროექტებს. თუ არ იქნება ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების და რეფორმის პროგრამა, ამას არაფერი ექნება საერთო სოფლის პრობლემების გადაწყვეტასთან.

სოფლის მეურნეობაში არის ცალკეული ამირფული პროექტები, არ არის დადგენილი არც მისი მიზნები, ამიტომ არ შეიძლება, რომ ამხელა დიდი სფერო, მითუმეტეს, როცა ქეყვანას გაცხადებული აქვს, რომ სოფლის მეურნეობა არის პრიორიტეტული მიმართულება, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ამ სფეროს მეტი ყურადღება სჭირდება. მაგალითად, მე მქონდა ურთიერთობა ამ პროექტის ერთ-ერთ კომპონენტთან, რაც გულისხმობს მინიმალურ დაფინანსებას 600 ათასი დოლარის ფარგლებში. სქემა არის შემდეგი, რომ მენარმე განაცხადს ნარმოადგენს ამ თანხაზე დაბანეს უნდა ნარუდგინოს მისი შესაბამისი უზრუნველყოფა, რომელიც დახსროებით სამჯერ აღემატება. აქ საუბარი რაიმე ტიპის მცირე ან საშუალო ბიზნესზე ზედმეტია, ანუ ეს არ არის განკუთვნილი თავიდანვე იმ ადამიანებზე, ვინც სოფელში არის დასაქმებული, ეს დიდ კომპანიებზეა გათვლილი, ასე პრობლემას ვერ გადავწყვეტო. არ შეიძლება ვილაპარაკოთ რეფორმის ერთ ნაწილზე და შემდგომი ნაბიჯების საფუძვლი ამ რეფორმისა, სოციალური ნაწილი, არ განვიხილოთ სათანადოდ”.



## ლაშა ტალანდაძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში

„გარკვეული დეფინიციების სწორად ჩამოყალიბება და განსაზღვრა, სახელმწიფო პოლიტიკის შემდგომი განვითარების და შემდგომი ნაბიჯების საფუძ-

ველი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ბაზისი უნდა არსებობდეს, რაზეც შემდგომ დაშენება უნდა მოხდეს. სწორი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება განსაზღვრავს ეფექტს, ჩვენ თუ ვამბობთ, რომ გლეხი არის სხვა სოციალური კატეგორია და ფერმერი სხვა, ამ სოციუმებისადმი სახელმწიფო მიღებობაც აპსოლუტურად განსხვავებული უნდა იყოს.

ბოლო ოცი წელია მესმის საუბარი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, მაგრამ როცა ვსვამ კითხვას, თუ რა არის მცირე და საშუალო ბიზნესი, ამაზე პასუხი არ არსებობს, გვაქვს ორი ერთმანეთისგან გამომრიცხავი კანონმდებლობა, ერთი აბსოლუტურად სხვანაირად განმარტავს მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესს და მეორე კანონი, საგადასახადო კოდექსი სხვანაირად. ასე რომ, აქ გარკვეული აღრევაა, იმისთვის, რომ ვისაუბროთ რაღაცის განვითარებაზე, ჯერ ის უნდა ვიცოდეთ რა არის და, შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა იმ კონკრეტულ თარგეთზე უნდა იყოს მორგებული. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა საკანონმდებლო და მარტივული ინიციატივები, თუმცა, ყველაზე მთავარი არის საგადასახადო კოდექსი, როგორც პრიორიტეტი ამა თუ იმ ბიზნესის განვითარებისა, სხვა კანონს მე უბრალოდ არ ვცნობ. ბიზნესისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფინანსური მოტივაცია, სხვა მოტივაცია უბრალოდ ბუნებაში არ არსებობს, არა მარტო ბიზნესისთვის, არამედ ოჯახისთვის, ინდივიდისთვის. ფინანსური მოტივაცია ერთადერთი კანონით რეგულირდება საქართველოში, ეს არის საგადასახდო კოდექსი.

მინდა სახელმწიფო პროექტები დადებითად შევაფასო, „აწარმოე საქართველოში“, „იაფი კრედიტი“ კარგი პროექტებია, არ არის ცუდი, მაგრამ ეს არ არის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, არის მსხვილ ბიზნესზე გათვლილი, თუმცა, მე მაინც პოზიტივს ვხედავ ამაში, რადგან როცა ვითარდება მსხვილი ბიზნესი, ამ მსხვილი ბიზნესის პარალელური მცირე ბიზნესებიც გარკვეულ არაპირდაპირ, თუმცა, ირიბ სარგებელს იღებენ.

ამიტომ, ნებისმიერი მსგავსი პროექტის მიზანი უნდა იყოს, პირველ რიგში სახელმწიფოს მოსთხოვოს მცირე და საშუალო ბიზნესის დეფინიციის ოფიციალური განმარტება და შემდეგ დარგის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება“.

## შეღებები

პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე სახის ძირითადი პრობლემა, რაც ხელს უშლის სახელმწიფო პროექტებში მოსახლეობის ფართო მასების ჩართვას. ესენია:

- სახელმწიფო პროექტებში ჩართვის შესახებ ინფორმაციის სიმწირე — პროექტის ფარგლებში ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ საზოგადოების ფართო მასებს, არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია პროექტების არსებობის და მათში ჩართვის კონკრეტული მექანიზმების შესახებ. ამ მოცემულობის გამო, პოტენციური ბენეფიციარები არც კი ცდილობენ სახელმწიფო პროექტებში ჩართვას

- ადმინისტრაციული ბარიერები — სახელმწიფო პროექტებში ჩართვის შესახებ, შედარებით მსხვილ ბიზნესს აქვს ეძლევა საშუალება უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებთანაც კი პირდაპირი კონტაქტი დაამყაროს. ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან შედარებით მცირე და დამწყები ბიზნესმენები, განსაკუთრებით როლი მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობებშიც კი არ აქვთ სახელმწიფო პროექტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.

- ფანანსური ხელმისაწვდომობა — სახელმწიფო პროექტები, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს ბენეფიციარების ფინანსურ თანამონაწილეობას, რაც ყველაზე სამწუხაროა, მთავარ პირობად ითვლება ფულადი მონაწილეობა და არა რაიმე სხვა მატერიალური ღირებულების მქონე აქტივით, ეს გარემოება აიძულებს პოტენციურ ბენეფიციარებს უარი თქვან სახელმწიფო პროექტებში ჩართულობაზე.

- საბანკო სისტემასთან გაფუჭებული ურთიერთობა — სახელმწიფო პროექტების დიდი ნაწილი გადის საბანკო სისტემაზე, ეს გარემოება გამორიცხავს პროექტების პოტენციური ბენეფიციარების მონაწილეობას პროცესში, ვინაიდან მცირედა და დამწყები ბიზნესის გარკვეულ ნაწილს უკვე აქვს ნეგატიური საკრედიტო ისტორია კომერციულ ბანკებში.

- კვალიფიკაციის ნაკლებობა — პროექტების ბენეფიციარების გარკვეულ ნაწილს არ აქვს მსგავს პროექტებში მონაწილეობის ელემენტარული გამოცდილებაც კი, შესაბამისად მათ არ გააჩნიათ ისეთი ელემენტარული უნარჩვევებიც კი, როგორიცაა საპროექტო განაცხადის მომზადება, პროექტის ბიუჯეტირება, მარკეტინგი და ასე შემდეგ.

## როკომენდაციები

პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სახელმწიფო უნდა შეიქმნას ცენტრალიზებული ინსტიტუცია, რაც უზრუნველყოფს მცირე და დამწყები ბიზნესის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შექმნას და განახორციელებს სპეციალურ პროგრამებს

- სახელმწიფო პროექტების შესახებ უნდა შეიქმნას ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო მასებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას. რეგიონებში უნდა მოეწყოს საკონსულტაციო ცენტრები, სადაც დაინტერესებულ პირებს მიეცემა საშუალება მიიღოს კონსულტაცია სახელმწიფო პროექტებში ჩართვის შესახებ.

- უნდა მოეწყოს მცირე და დამწყებ მენარმეთა გადასამზადებელი ცენტრები, რაც აამაღლებს სახელმწიფო პროექტების პოტენციური პენეფიციარების კვალიფიკაციას და უზარჩვევებს.

- მცირე და დამწყები ბიზნესისთვის უნდა შეიქმნას ინსტიტუციური არხი, რაც კომერციულ ბანკებმი წევატიური საკრედიტო ისტორიის მქონე ბენეფიციარებს საბანკო არხების გვერდის ავლით ჩართავს სახელმწიფო პროექტებში

## ფოტოგალერეა

შეხვედრები რეგიონებში



## ფოტოგალერეა

სამუშაო შეხვედრები



## ფოტოგალერეა

საქართველოს მდგრადი განვითარების მინისტრის შეხვეძლები



